მარტი 2018

ევროპული სკოლა

სკოლის გაზეთი

ღია კარის დღე "ევროპულ სკოლაში"

2018-2019 სასწავლო წლისთვის დაიწყო "ევროპულ სკოლაში" მოსწავლეთა რეგისტრაცია. ამასთან დაკავშირებით 31 მარტს ჩატარდა ღია კარის დღე "ევროპულ სკოლაში," სადაც დაინტერესებულმა სტუმრებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია. სპეციალურად ამ დღისთვის შეიქმნა პროგრამა, რომელიც დაეხმარა მოსულ სტუმრებს უფრო ახლოს გაცნობოდნენ სკოლას. ისინი სკოლის დარბაზში დეტალურად გაეცნენ სკოლის პროგრამებს და იმ უპირატესობებს, რომლებიც "ევროპულ სკოლას" გააჩნია. საინტერესო იყო სკოლის ტური მოსწავლეების თანხლებით; მათი დახმარებით მშობლებმა დაათვალიერეს სკოლა და გაესაუბრნენ თითოეული პროგრამის კოორდინატორს, დაესწრნენ საჩვენებელ გაკვეთილებს. ღია კარის დღე მისასალმებელი სიტყვით გახსნა სკოლის აკადემიურმა დირექტორმა, სოფიო ბაზაძემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო "ევროპული სკოლის" მთავარი უპირატესობები და ასევე, ისაუბრა იმაზე, თუ რას სთავაზობს საგანმანათლებლო დაწესებულება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ცოდნის მიღებას "ევროპულ სკოლაში" გადაწყვეტენ.

კლასიკური მუსიკის ფესტივალი

"ევროპულმა სკოლამ" უკვე მეოთხედ უმასპინძლა კლასიკური მუსიკის ფესტივალს.
წლევანდელი ფესტივალი გამოირჩეოდა ჟანრობრივი მრავალფეროვნებითა და აკადემიურობით.
პირველი შესარჩევი ტურის შემდეგ სპეციალურად შერჩეული მოსწავლეებისთვის მოწვეული იქნა კონსერვატორიის ახალგაზრდული ორკესტრი მირიან ხუხუნაიშვილის დირიჟორობით. მათთან ერთად ფესტივალის ორგანიზატორმა შეიმუშავა პროექტი - "მოდი, იდირიჟორე". კონკურსის მონაწილეებმა აღიარეს, რომ დირიჟორ მირიან ხუხუნაიშვილის მიერ ჩატარებული მასტერ-კლასი არც თუ ისე იოლად დასამახსოვრებელი და შესასრულებელი ყოფილა... პროექტის ბოლოს დირიჟორმა და ორკესტრანტებმა საუკეთესო ნორჩი დირიჟორი გამოავლინეს. ეს იყო PYP მე-5 კლასის მოსწავლე ნიკო გერსამია. ის დაჯილდოვდა სადირიჟორო ჯოხით.

კომპეტენტურმა ჟიურიმ 4 საპრიზო კატეგორია შეარჩია:
- ჟიურის სიმპათია - ლუკა შატბერაშვილი, XI კლ. DP.
- ყველაზე ტექნიკური შემსრულებელი - სისი იანგი, V კლ. PYP
- ყველაზე აკადემიური შემსრულებელი - ნუცა მესტვირიშვილი, VI კლ.
- ყველაზე მუსიკალური შესრულებისთვის - თემურ თვაური, VI კლ.

ფინალი საზეიმოდ დახურა სპეციალურად მოწვეულმა სტუმრებმა, საფორტეპიანო დუეტმა "კრისტინა და რეჯინა" და ვოკალისტმა ლიანა ჩივაძემ.

CIS MEMBER
ი. სხირტლაძის ქუჩა 2, თბილისი, 0177, საქართველო
ტელ: (032) 239 59 64,
ელ-ფოსტა: info@europeanschool.ge
ვებ-გვერდი: www.europeanschool.ge

ტყის საერთაშორისო დღე

კვიპროსის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებმა წამოიწყეს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებისთვის საზაფხულო ბანაკების მოწყობას. ბანაკის აქტივობები ძირითადად მოზარდის ეკოლოგიური თვალსაზრისით განვითარებაზეა გამიზნული.
სწორედ ამ პროექტის - "მოსწავლეები მდგრადი მსოფლიოსთვის" - დამფუძნებლები ეწვივნენ ევროპულ სკოლას და MYP მოსწავლეებისთვის ჩაატარეს სემინარი სხვადასხვა აქტივობის თანხლებით. მონაწილეები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით. სემინარი ჩატარდა ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 21 მარტს აღინიშნება. MYP მოსწავლეებმა დაგეგმეს Bake Sale. შემოსული თანხით შეიძენთ ხის ნერგებს, რომლებსაც თავად მოსწავლეები ჩაიტანენ ბორჯომში და ასე შეიტანენ თავიანთ წვლილს ტყის დამწვარი ნაწილის აღდგენაში.

"ევროპული სკოლა" სტუმრად "ბაბალეში"

ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა თეა სირაძემ მე-7ბ კლასისთვის დაგეგმა ვიზიტი "ბაბალეში". ჩვენ ყოველთვის გვიხარია ამ ორგანიზაციაში წასვლა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ტკბილეულის მიტანა, სხვადასხვა აქტივობის განხორციელება. ამჯერად ჩვენ ერთად შევლებეთ საახლგომო ჯვერცხები. მიუხედავად იმისა, რომ არ გვქონდა გამოცდილება, "ბაბალეს" თანამშრომლები დაგვეხმარნენ და შეგვასწავლეს, თუ როგორ უნდა მოგვეხატა საახლგომო ჯვერცხები. ძალიან გაგვიხარდა, როდესაც გავიგეთ, რომ ჩვენი ნამუშევრები გაიყიდება და შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

ავტორი: მიშიკო გაბაიძე (MYP) 7ბ კლასი

"ევროპული სკოლა" თეატრის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს

"ევროპული სკოლაში" გაიმართა თეატრის დღე, რომელიც წარმოგვიდგინეს VIIIბ კლასის მოსწავლეებმა სახელწოდებით "შუშაბანდის ამბები".
თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, VIII კლასელებმა მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყვეს თანატოლებს, მასწავლებლებსა და მშობლებს. მათ წარმოადგინეს ვარიაციები დ. კლდიაშვილის "დარისპანის გასაჭირი" და ა. ჩეხოვის "ალუბლის ბაღის" თემებზე. ინტერპრეტირებულმა კლასიკამ და მოსწავლეთა საშემსრულებლო ტექნიკამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფრანკოფონიის თვე

მარტი ფრანკოფონიის თვედ გამოცხადდა, ამიტომ MYP მე-9-10 კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი, რომლის ფარგლებშიც მათ იმუშავეს სხვადასხვა აქტივობაზე: მოიძიეს ინფორმაცია ფრანკოფონიის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, ისაუბრეს წევრ ქვეყნებსა და იმ საფუძვლებზე, თუ რატომ ჩამოყალიბდა ეს გაერთიანება. მონაწილეებმა ნამუშევრები პოსტერებისა და პრეზენტაციის სახით მარტის თვის MYP ასამბლეაზე წარმოადგინეს.
ავტორი: ფრანგული ენის პედაგოგი, ელისო ჭელიშვილი